# საზოგადოებრივი ადვოკატი

№ 2
25 მარტი
2010

იურიდიული დახმარების სამსახური – მთელი საქართველოსთვის


### იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიურო – „წლის ბიურო“



3-4 გვ.

### „იურიდიული დახმარების სამსახურში მუშაობა გაცილებით საინტერესოა და შესაძლებლობებიც მეტია“



4 გვ.

### საზოგადოებრივი ადვოკატი პასუხობს თქვენს შეკითხვებზე

3 გვ.

### იურიდიული დახმარების სამსახური

- სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურება გადახდის უუნარო მოსახლეობისათვის;
- უფასო იურიდიული კონსულტაციები სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე - სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- იურიდიული დახმარების ბიუროები მთელი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ახალციხეში.

## „ადვოკატის როლი სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში“

*ახალი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ ამოქმედებით საქართველოში სრულიად ახლებური სამართალწარმოება ინერგება. ამ რევოლუციური ცვლილებისთვის ქვეყანა დიდი ხანია ემზადება, რადგან მასზეა დამოკიდებული დემოკრატიული ქვეყნის მთავარი ღერძის - სამართლიანი მართლმსაჯულების აშენება და დამკვიდრება. რა ცვლილებებს გვთავაზობს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და რას ცვლის იგი პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მთავარი სუბიექტის - დაცვის მხარის უფლებებში და საქმიანობაში. ამ საკითხზე გვესაუბრება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი.*



- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც 2010 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდება, არის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობილი პროცესი, რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე მხარეს - დაცვასა და ბრალდებას თანაბარი უფლებები აქვთ მოიპოვონ მტკიცებულებები, წარადგინონ სასამართლოში, დაასაბუთონ საკუთარი პოზიციები და, შესაბამისად, მიაღწიონ წარმატებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, მოსამართლესთან ერთად გადაწყვეტილების მიმღებები იქნებიან ნაფიცი მსაჯულები. ადვოკატს და პროკურორს კი შესაძლებლობა ეძლევა თავისი პოზიციების სინამდვილე დაუდასტურონ ჩვეულებრივ მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან იურისტები და რომლებმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ფაქტიდან გამომდინარე - არის თუ არა პირი დამნაშავე, ან უდანაშაულო. ამიტომ, ახალი საპროცესო კოდექსი არის კარგი საშუალება იმის, რომ მხარეებს ჰქონდეთ საკუთარი კომპეტენციის იმედი. მეორეს მხრივ, ეს არის ფანტასტიკური საშუალება, რომ თავად სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად იყოს ჩართული მართლმსაჯულების განხორციელებაში და თავად იყოს ამ მნიშვნელოვანი პროცესის მონაწილე. როდესაც ორივე მხარემ იცის, რომ თეორიული დახმარებაც კი გამორიცხულია, და მხოლოდ და მხოლოდ მათ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული წარმატება, ისინი უფრო მეტად მოტივირებულნი და მომზადებულნი იქნებიან, რაც გააუმჯობესებს თვითონ პროცესის და ზოგადად მართლმსაჯულების ხარისხსაც. ამიტომ, ახალი სისხლის სამართლის პროცესი მისაღებია, როგორც მხარეებისთვის, ასევე მთლიანად ქართული საზოგადოებისთვის.

**- ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი ნოვაციაა ნაფიცი მსაჯულები, თუმცა ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. რას უნდა ველოდეთ ამ ინსტიტუტის დანერგვით?**

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებაზე საქართველოს კონსტიტუციაში დათქმა ჩადებულია 2004 წლის თებერვლიდან, თუმცა საბოლოოდ იგი პრაქტიკაში 2010 წლის ოქტომბრიდან დაინერგება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროს სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა, როგორ ღირსეულმა წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც იქნება ობიექტური, საზოგადოებისთვის მისაღები და რომელიც დაყრდნობილი იქნება, მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებზე. სამწუხაროდ, ჩვენს მოქალაქეებს დაბალი სამართლებრივი განათლება აქვთ. მათ არ იციან თავისი უფლებები და მოვალეობები, რაც ბუნებრივია, ხელს უშლით საკუთარი უფლებების დაცვაში, აღარაფერს ვამბობთ, სხვის უფლებებზე. ნაფიცი მსაჯულის ფორმით მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართულობა კი, ჩემი აზრით, კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ საზოგადოებამ კიდევ უფრო უკეთ გაიგოს საკუთარი და, აქედან გამომდინარე, სხვისი უფლებები, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. ჩვენი საბოლოო მიზანია, რომ მივიღოთ სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელები. მყარი და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება არის ის, რაზეც გადის სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზა.

**- ქართული მართლმსაჯულება რევოლუციური ცვლილებისთვის ემზადება, ეს არის შეჯიბრებითობა, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის არსებული სამართალწარმოების ფორმებს...**

- შეჯიბრებითობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა ქართულ სამართალწარმოებაში. დღევანდელი სისხლის სამართლის პროცესი, ერთი მხრივ ვითომ აღიარებს შეჯიბრებითობის პრინციპს, მაგრამ მეორეს მხრივ, იცნობს საჯაროობას და დისპოზიციურობას, რომლის მიხედვითაც სასამართლო ვალდებულია დაადგინოს ობიექტური ჭეშმარიტება. ამის გამო, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლეს მხარის ფუნქციების შეთავსება უწევს. ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების

*გაგრძელება 2 გვ.*

## სტუდენტური კონფერენცია

*24 მარტიდან იურიდიული დახმარების სამსახურმა დაიწყო შეხვედრები იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებთან. პირველი შეხვედრა გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ წაიკითხა ლექცია დაცვის უფლების მნიშვნელობისა და იურიდიული სამსახურის საქმიანობის შესახებ. შეხვედრაზე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა შეიტყვეს დაგეგმილი კონფერენციის შესახებ, რომელიც დაცვის უფლებას შეეხება. მსგავსი შეხვედრები თბილისში მოქმედ სხვა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელშიც გაიმართება.*

*სტუდენტურ კონფერენციაზე შესარჩევი კონკურსი აპრილის დასაწყისში გამოცხადდება. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ თბილისში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სტუდენტებს. კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსდება იურიდიული დახმარების სამსახურისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ვებ გვერდებზე (www.undp.org.ge; www.legalaid.ge). კონკურსში შერჩეული ნაშრომების ავტორები მიწვეული იქნებიან სტუდენტურ კონფერენციაზე, ყველა მონაწილეს გადაეცემა სერთიფიკატი, ხოლო სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორი დაჯილდოვდება პრიზებით.*

*გაგრძელება 2 გვ.*



## გუნდური მუშაობის პროცესი

იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, რუსთავში იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს იურისტებმა და ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატებმა სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის სტრატეგიის დეტალებზე დისკუსია გამართეს. განხილვის მიზანი იყო გუნდური მუშაობის პროცესში დაცვის პოზიციის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შესაძლო სტრატეგიების განსაზღვრა.

დისკუსიის მონაწილეებმა იმსჯელეს ადვოკატ გიორგი მდინარაძის საქმის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, გიორგი მდინარაძის დაცვის ქვეშ მყოფს, რომელსაც ბრალად ქურდობის მცდელობა ედებოდა, ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები. ის არ სცნობდა თავს დამნაშავედ, ვერ იხსენებდა შემთხვევის დღეს მომხდარ ფაქტებს და იყენებდა დუმილის უფლებას. დისკუსიაც სწორედ ამ გარემოებების ირგვლივ წარიმართა. ადვოკატები ეცადნენ გაერკვიათ, თუ რა პოზიცია უნდა დაეკავებინა განსასჯელს და მოქმედების რა სტრატეგია უნდა დაესახა დამცველს.

## ლექციები ნარკომანიის პრობლემებზე სკოლებში

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს იურისტები ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის პრევენციის მიზნით სკოლებში ვიზიტებს აგრძელებენ. მსგავსი ღონისძიებები უკვე ჩაუტარდა რუსთავის №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №9, №11, №14, №15, №16, №17, №21, №22, №24, №25, №26 და №27 საჯარო სკოლების მოსწავლეებს. ამჯერად, ბიუროს თანმშომლებმა ლექციები რუსთავის №10, №8, №23, №13 და №20 საჯარო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის ჩაატარეს.

ლექციების ფარგლებში არასრულწლოვანი მოსწავლეები გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ნარკოტიკების ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, გავრცელებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგელობა. ლექციები მომავალშიც გაგრძელდება და ქვემო ქართლის რეგიონის სხვა სკოლებსაც მოიცავს.

## იურიდიული დახმარების სამსახური დასავლეთ საქართველოში გასვლით კონსულტაციებს გამართავს

23-30 მარტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური გასვლით კონსულტაციებს გამართავს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში. უფასო იურიდიული კონსულტაციები გაეწევათ საჩხერის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმისა და ხელვაჩაურის მოსახლეობას. კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი - ირაკლი კობიძე უფასო სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის შესახებ ისაუბრებს. საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები კი სხვადასხვა სამართლებრივ თემებზე მომზადებულ საინფორმაციო მასალებს დაარიგებენ და მოქალაქეთა შეკითხვებს უპასუხებენ.

ალსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის პრიორიტეტს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და სამსახურის პოპულარიზაცია წარმოადგენს. გასულ წელს საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რომელიც სამსახურის შესახებ არასრულწლოვნების, პრობაციონერების, დევნილების, სტუდენტების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მედიის წარმომადგენელთა ინფორმირებას ემსახურებოდა.

# სტუდენტური კონფერენცია

*პირველი გვერდიდან*

ინიციატივა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა გაეროს განვითარების პროგრამის დემოკრატიული მმართველობის მიმართულების თანამშრომელს, ნათია ჩერქეზიშვილს.

**- ქალბატონო ნათია, რა მიზანს ისახავს გაეროს განვითარების პროგრამა სტუდენტური კონფერენციის მხარდაჭერით?**

- თითქმის ორი წელია, რაც აქტიურად ვთანამშრომლობთ იურიდიული დახმარების სამსახურთან. ჩვენი მიზანია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი პირებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად ხელს ვუწყობთ იურიდიული დახმარების სამსახურის გაფართოებას და ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლებას. გარდა ამისა, ვეხმარებით სამსახურს გახსნას ახალი ოფისები საქართველოს რეგიონებში და უფრო ეფექტურად გაავრცელოს ინფორმაცია თავის საქმიანობის შესახებ.

იურიდიული განათლება მეტად მნიშვნელოვანი სფეროა. ამიტომაც გადავწყვიტეთ იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტები ყურადღების მიღმა არ დაგვეტოვებინა. მოვა დრო და დღევანდელი სტუდენტები თავად ჩადგებიან საზოგადოების სამსახურში. მათ იმთავითვე უნდა იცოდნენ, რა დანიშნულება აქვს დაცვის უფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში და რამდენად მნიშვნელოვანია ამ უფლების განხორციელება სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის, რომლებსაც კვალიფიციური იურიდიული დახმარების მისაღებად საჭირო სახსრები არ გააჩნიათ. სტუდენტური კონფერენცია ხელს შეუწყობს საჯარო დებატების გამართვას დაცვის უფლებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ. ხოლო სტუდენტები გაიღრმავებენ ცოდნას კონსტიტუციური უფლებების საკითხებში და განიმტკიცებენ აკადემიური მართლწერისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევებს.



**- როგორ შეირჩევა გამარჯვებული ნაშრომები და რა ფორმით მოხდება სტუდენტთა მოტივირება?**

- საკონფერენციო ნაშრომების შერჩევა მოხდება იურიდიული დახმარების სამსახურთან შეთანხმებული კონცეპტუალური და აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად. შერჩევას განახორციელებს კვალიფიციური და მიუკერძოებელი კომისია. კონფერენციის მონაწილეები მიიღებენ სერთიფიკატებს, ხოლო სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორი დაჯილდოვდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაწესებული სპეციალური ჯილდოებით. იმედი გვაქვს, რომ სტუდენტური კონფერენცია საინტერესო და სასარგებლო იქნება. მსგავსი ღონისძიება შესაძლოა მომავალშიც დავგეგმოთ. წარმატებებს ვუსურვებ კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებს!

# „ადვოკატის როლი სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში“

*პირველი გვერდიდან*

შემდეგ კი გადავდივართ კლასიკურ შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მხრიდან დახმარების თეორიული საშუალებაც კი აღარ იქნება და წარმატების გასაღების პოვნა, მხოლოდ და მხოლოდ მხარეებზე იქნება დამოკიდებული. ახალი კანონმდებლობით, ძველისგან განსხვავებით, მოსამართლის მხრიდან არა თუ ახალი კითხვის, არამედ დამაზუსტებელი და დამდგენი კითხვაც კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს დასმული, თუ ეს მნიშვნელოვანია სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაში და თან ამაზე მოსამართლეს პროცესის მონაწილე ორივე მხარის თანხმობა უნდა ჰქონდეს მიცემული. თუ რომელიმე მხარე არ ჩათვლის საჭიროდ ამ კითხვას, მას შეუძლია გააპროტესტოს და იგი აღარ დაისმება. მოსამართლის თვითინიციატივა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში აღარ არსებობს. ამიტომ, კლასიკური შეჯიბრებითობის სისტემაზე გადასვლა ნიშნავს იმის დასასრულსაც, როცა მხარე თავის წარუმატებლობას სასამართლოს აბრალებდა. მხარეზეა დამოკიდებული რამდენად სრულყოფილად შეძლებს მტკიცებულების მოპოვებას, გამოკვლევას და ამ მტკიცებულების მოსამართლისთვის და ნაფიცი მსაჯულებისთვის დასაბუთებას. ამას კი მაღალკვალიფიციური ადვოკატები და პროკურორები სჭირდება.

**- ადვოკატთა ერთი ნაწილი ახალ საპროცესო კოდექსს პროგრესულად მიიჩნევს, თუმცა, გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ახალი კოდექსით დაცვის მხარესთან შედარებით ბრალდებას უფრო მეტი პრივილეგია გააჩნია.**

- თავისუფლად შემიძლია თქმა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით კიდევ უფრო გაძლიერებულია ადვოკატის როლი და ფუნქცია. დღეს მოქმედი კანონით თუ დაცვა, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, როგორც მხარე წარმოდგენილი არ არის და დამოუკიდებლად მტკიცებულებების მოპოვება არ შეუძლია, ახალი საპროცესო კოდექსით მტკიცებულებების მოპოვებაზე ადვოკატს და ბრალდებას, ფაქტობრივად, თანაბარი უფლება ენიჭებათ. იგი არის სრულიად თავისუფალი მოიპოვოს მტკიცებულებები, წარმოადგინოს სასამართლოში და მასზე დაყრდნობით მიაღწიოს სასურველ შედეგს. ამით ადვოკატი სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე ხდება პროცესის სრულყოფილი მხარე, როგორც გამომძიებელი ან პროკურორი. მეტიც, მას პრივილეგირებული მდგომარეობაც კი აქვს, ვთქვათ, როგორიც არის საგამონაკლისო უფლება - დაცვის მხარეს შეუძლია შემოინახოს მტკიცებულება და გამოძიების ეტაპზე არ გადასცეს ბრალდებას, რისი უფლებაც სამართალდამცველებს არ აქვს. ამგვარი დაბალანსება ახალ პროცესში მოხდა იმიტომაც, რომ მივიღოთ მეტნაკლებად კლასიკური, შეჯიბრებითობასა და თანასწორობაზე დაფუძნებული სასამართლო პროცესი.

ერთი სიტყვით, შეჯიბრებითობის სისტემაზე დაფუძნებული პროცესი ნიშნავს, ადვოკატის როლის გაზრდას, გაძლიერებას და მათი წარმომადგენლობის დაფასებას. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო წარმატებული იქნება ადვოკატთა ისეთი გაერთიანება, რომლებიც ერთგვაროვან პრაქტიკას ადგენენ, აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლიათ ჯგუფურად მუშაობა. ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში, სადაც შეჯიბრებითობის სისტემაა დაფუძნებული, საქმეზე ერთი ადვოკატი არ მუშაობს, როგორც წესი, მას თავისი ოფისი, თანაშემწეები თუ კერძო დეტექტივები ეხმარებიან. შეიძლება ჩვენთან ეს დღეს და ხვალ არ მოხდეს, მაგრამ საბოლოოდ, ჩვენც ამ მიმართულებით მივდივართ.

**- ადვოკატთა ერთი ნაწილი ახალ საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით პრეტენზიას სწორედ მტკიცებულებების მოპოვებაში არათანაბარ პირობებზე აცხადებს.**

- ახალი საპროცესო კოდექსით დაცვის მხარეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება არ აქვს, ეს არის ფარული საგამოძიებო მოქმედბები, ჩხრეკა და ამოღება. ფარული საგამოძიებო მოქმედება სპეციფიური ურთიერთობაა და მასზე ადვოკატებიც არ დავობენ. რაც შეეხება ჩხრეკას და ამოღებას - ახალი საპროცესო კოდექსი ამოღებულ ნივთს მტკიცებულებად ადგენს იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კონკრეტული პირის დაკითხვა, რომელიც დაადასტურებს მის წარმოშობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორი წესების დაცვითაც არ უნდა იყოს იგი მოპოვებული, ნივთი ვერ იქნება მტკიცებულებად მიჩნეული.

სპეციფიკურია ჩხრეკის პროცედურაც, რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება პირის საკუთრებას, რაც კონსტიტუციით არის დაცული. ჩხრეკა დღესაც და მომავალშიც სასამართლოს მიერ უნდა იყოს დაკანონებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პროცესის კანონიერებასა თუ უკანონობაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. ადვოკატის მიერ ჩატარებულ ასეთ მოქმედებაზე კი გარანტი სახელმწიფო ვერ იქნება. სამაგიეროდ, ადვოკატს უფლება აქვს ნივთის მფლობელი სასამართლოში გამოიძახოს, სავალდებულო წესით დაკითხოს და მოითხოვოს სასურველი საგნის წარდგენა. სხვათა შორის, დაცვის მხარეს ჩხრეკის და ამოღების უფლება არც ერთ ქვეყანაში არ აქვს.

კანონში ჩადებულია მტკიცებულების მოპოვების დასწრების მომენტი. თუ დაცვა დაასწრებს ბრალდების მხარეს მტკიცებულების მოპოვებას, შეუძლია ეს მასალები არ მისცეს გამოძიებას, რისი უფლებაც სამართალდამცველებს არ აქვთ. და კიდევ ერთი, მოწამლული ხის ნაყოფი - ახალი საპროცესო კოდექსით, თუ დაცვის მხარის ერთი მტკიცებულება დაუშვებლად გამოცხადდება, ეს მხოლოდ ამ ერთ მტკიცებულებას შეეხება, მაგრამ თუ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი რომელიმე მტკიცებულება დაუშვებლად გამოცხადდება, მაშინ მის საფუძველზე მოპოვებული ყველა სხვა მტკიცებულება, ავტომატურად დაუშვებელი ხდება.

**- ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დანერგვასთან დაკავშირებით დიდი ხანია მზადებაა და ამ მიმართულებით პროცესის ყველა მხარეს ტრენინგები უტარდება. ამაში თქვენც მონაწილეობთ. რამდენად მზად არიან ქართველი ადვოკატები რადიკალურად განსხვავებულ სამართალწარმოებაში მონაწილეობისთვის?**

- პირადად ვმონაწილეობდი სწავლების პროცესში როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან, ასევე ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებთან. ძალიან დასაფასებელია იურიდიული დახმარების სამსახურის მცდელობა, რომ ასეთი ტრენინგები იყოს ხშირი და იგი იყოს მთელი საქართველოს მომცველი. პრობლემა არის ის, რომ თუ მხარე არ შეხვდება მომზადებული ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებას, მას ძალიან გაუჭირდება შეჯიბრებითობის სისტემაზე დაფუძნებულ პროცესში წარმატების მიღწევა, რადგან ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ იგი სხვას ველარ გადააბრალებს თავის წარუმატებლობას. მტკიცებულებების მოპოვება, შესავალი და დასკვნითი სიტყვის ფორმირება, მოსამართლის და ნაფიცი მსაჯულების დარწმუნება, რიტორიკა - ეს ყველაფერი არის სასწავლი, რაც მეტ პროფესიონალიზმს მოითხოვს. მივესალმები ყველა იურისტის კვალიფიკაციის ამაღლებას, განსაკურებით, ადვოკატის, რადგან ადვოკატებზე დგას შეჯიბრებითობის პრინციპის რეალურად გატარება. რაც უფრო მზად შეხვდება თვითოეული მხარე - მოსამართლე, ადვოკატი და პროკურორი ახალ კანონმდებლობას, მით უფრო წარმატებული იქნება ეს კოდექსი, რაც კარგი იქნება არა მხოლოდ დაცვის ინსტიტუტისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვის.

# საზოგადოებრივი ადვოკატები ახალი კოდექსის ამოქმედებისთვის ემზადებიან

***რამდენიმე თვეში, საქართველოში, სრულიად ახალი სამართალწარმოება ამოქმედდება და როგორც ახალი "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" ავტორები ირწმუნებიან, ის თავიდან ბოლომდე მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე იქნება დამყარებული.***

***წლების განმავლობაში შემუშავებული და დახვეწილი "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", რომელიც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასთან ერთად, უამრავ ნოვაციას ითვალისწინებს, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება.***

***მართალია, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი პარლამენტმა 2009 წლის ოქტომბერში დაამტკიცა, მაგრამ ეს პერიოდი პარლამენტარებმა კანონის იმპლემენტაციისთვის გამოყვეს - პროცესის მონაწილე მხარეები სისხლის სამართლის ახალი წარმოებისთვის შესაბამისად უნდა მოემზადონ.***



**თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ირაკლი იადონიძე**



**მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი ირინე ბოხაშვილი**

რამდენად მზად აღმოჩნდება იურიდიული დახმარების სამსახური იმისთვის, რომ სრულფასოვნად განახორციელოს საკუთარი მოვალეობები, როგორ აფასებენ საზოგადოებრივი ადვოკატები განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს და როგორ ემზადებიან ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ბრალდებულის დასაცავად, ამას მომავალი გვიჩვენებს. დღეს კი, ფაქტია, ადვოკატები ახალი საპროცესო კოდექსის სწავლებაში აქტიურად არიან ჩართულნი.

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის ირაკლი იადონიძის განმარტებით, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საზოგადოებრივი ადვოკატებისთვის სიახლე ნამდვილად არ იქნება, რადგან დონორი ორგანიზაციების თუ თავად იურიდიული დახმარების სამსახურის დახმარებით თითქმის ორი წელია სისტემატურად გადიან ტრენინგებს და სემინარებს.

ახალ საპროცესო კოდექსში მნიშვნელოვანია ადვოკატის ფუნქცია, მას უშუალოდ აკისრია ვალდებულება, რომ ღირსეულად დაიცვას მისი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებები. კერძოდ, ადვოკატი უნდა იყოს ზედმეტად პატიოსანი, მან სწორი ტაქტიკით უნდა განსაზღვროს საქმის ვითარება. ადვოკატის სამართლიანობაზეა დამოკიდებული, თუ რა შედეგი დადგება სისხლის სამართლის საქმეზე და რამდენად სასარგებლო პოზიციაში ჩადგება მისი დაცვის ქვეშ მყოფი, - ამბობს ირაკლი იადონიძე, რომელიც თვლის, რომ ყველაზე ახალი და საინტერესო ახალ საპროცესო კოდექსში არის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, სადაც დაცვის მხარე აბსოლუტურად განსხვავებულ როლში წარსდგება. თუმცა, როგორც საზოგადოებრივი ადვოკატი აღნიშნავს, ამისთვისაც ადვოკატები მზად არიან, რადგან სემინარების დროს, იმიტირებილ სასამართლო პროცესებზე, ისინი როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მომზადებას გადიოდნენ.

იურიდიული დახმარების სამსახური მუდმივად ადევნებს თვალს საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში განხორციელებულ ცვლილებებს. ახალი სსსკ-ის პროექტზე მუშაობის პირველივე დღეებიდან, როდესაც ცნობილი გახდა ძირითადი ტენდენციები, იურიდიული დახმარების სამსახურმა დაიწყო ზრუნვა საზოგადოებრივი ადვოკატების გადამზადებაზე, მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებაზე. უკვე რამდენიმე წელია იურიდიული დახმარების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან, შიდა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან. მათი ინიციატივით და მხარდაჭერით არაერთი ტრენინგი-სემინარი მოეწყო და ამ კუთხით მუშაობა კვლავ გრძელდება - ამბობს მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი ირინე ბოხაშვილი.

ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით 2009 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა იურისტისთვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, ეტაპობრივად ჩატარდა ტრენინგები.

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა სემინარები გაიარეს შემდეგ საკითხებში: სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი, მტკიცებულებათა ცნება, საგანი, მტკიცების ტვირთი, წინასასამართლო გამოძიება, საგამოძიებო მოქმედებები.

სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება, აღკვეთის ღონისძიებები, სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ა.შ. ექსპერტის მონაწილეობით ტრენინგზე იმართებოდა იმიტირებული სასამართლო პროცესები, რაც ადვოკატებს ეხმარებოდა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის ამაღლებაში.

ამ პროექტის განხორციელებით გაეროს განვითარების პროგრამა ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას დახვეწოს და განავითაროს იურიდიული დამარების სახელმწიფო სამსახური, რომელიც საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ფარგლებში ფუნქციონირებს.

**რეგიონი**

# იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიურო – „წლის ბიუროა"

***იურიდიული დახმარების ქვემო ქართლის ბიუროს 2009 წელს 880-მდე საქმე ჰქონდა წარმოებაში, 2010 წლის იანვარ-თებერვალში კი იქ უკვე 184 საქმეა შესული. როგორც ბიუროს ხელმძღვანელი ამბობს, მათ მიერ წარმოებული საქმეების უმრავლესობა კლიენტების სასარგებლოდ დასრულდა და წარმატებული საქმეების რიცხვიც საკმაოდ დიდია. სწორედ ამ საქმიანობისა და მიღწეული წარმატებებისთვის გასულ წელს იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიურო „წლის ბიუროდ" აღიარეს.***



საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიურო 2007 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა.

იურიდიული დახმარების სამსახური საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს იმ ადამიანებს, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში არიან დაფიქსირებულნი. გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები სავალდებულო წესით ერთვებიან იმ კატეგორიის საქმეებში, რომელთაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი ითვალისწინებს. ესენია: არასრულწლოვანთა, ეთნიკური უმცირესობების, დევნილების, მიმალვაში მყოფ, ასევე ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე პირების მიმართ ირს სურს თუ არ სურს ადვოკატის აყვანა.

იურიდიული დახმარების შესახებ კანონით გათვალისწინებულია კიდევ ერთი განსაკუთრებული შემთხვევა, როცა სამსახურის ხელმძღვანელს აქვს უფლება შრომისუუნარო, გაჭირვებულ ადამიანს უფასო ადვოკატი პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე დაუნიშნოს. ეს მაშინ ხდება, როცა სამსახურს არ აქვს სავალდებულო დაცვის საფუძვლები და პიროვნება სოციალურად დაუცველთა საბაზისო სიაში არ ირიცხება.

ამ ეტაპზე იურიდიული დახმარების სამსახურს ერთი ბიურო აქვს რუსთავში. ახლადგარემონტებულ და ტექნიკურად აღჭურვილ ოფისში სამსახური სულ ორი თვეა რაც გადავიდა. არც ისე დიდი ადამიანური რესურსით - 8 ადვოკატი, ბიუროს უფროსი, კონსულტანტი და სპეციალისტი, - ისინი მთელს რეგიონს მოიცავენ. მათი სამოქმედო არეალი საკმაოდ დიდია და შვიდ მუნიციპალიტეტს მოიცავს: რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო და წალკა. შორეული რაიონებიდან მოსახლეობა ხშირად ტელეფონის ან ფაქსის საშუალებით უკავშირდებათ და საჭიროების შემთხვევაში საზოგადოებრივი ადვოკატები თავად ჩადიან ადგილებზე კლიენტებთან შესახვედრად.

ქვემო ქართლი საქართველოს სხვა რეგიონებისგან ეთნიკური უმცირესობების სიმრავლით გამოირჩევა. ამ რეგიონში ნახევარ მილიონამდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს და მათმა უმრავლესობამ ქართული არ იცის.

***გაგრძელება 4 გვ.***

## თქვენი ადვოკატი

**1. კუთვნილ დოკუმენტებში დაშვებული შეცდომის გამო ვერ ვიღებ პენსიაზე დანამატს. ვის მივმართო?**

საჭიროა წერილობითი გადაწყვეტილება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და მომზადდება განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ, კერძოდ, საბუთების კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ.

**2. ვის უნდა მიმართოს მემკვიდრემ სამკვიდროს მიღების მოთხოვნით და უარის შემთხვევაში შეიძლება თუ არა გასაჩივრება?**

სამკვიდროს მიღების მოთხოვნით უნდა მიმართონ ნოტარიუსს და წერილობითი უარის მიღების შემთხვევაში, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

**3. ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის შემთხვევაში ვის უნდა მიმართოს ძალადობის მსხვერპლმა?**

დაზარალებულმა შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით უნდა მიმართოს - შ.ს. სამმართველოს განყოფილებებს ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით - სასამართლოს.

**4. სად შეიძლება გასაჩივრდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.**

შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (გუბერნიაში) და შემდეგ სასამართლოში.

**5. როგორ შეიძლება მოხდეს განქორწინება და ვის უნდა მივმართოთ.**

თუ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა, განქორწინება ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, ხოლო დავის შემთხვევაში - სასამართლო წესით

**6. სავალდებულოა თუ არა სესხის ხელშეკრულების წერილობით გაფორმება და თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ვის შეიძლება მივმართოთ.**

სასურველია ხელშეკრულება დაიდოს წერილობით, რადგან ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონდეს მიმართოს სასამართლოს.

**7. შესაძლებელია თუ არა ცვლილებების შეტანა დაბადების სააქტო ჩანაწერში და ვის უნდა მივმართოთ?**

დიახ, შესაძლებელია. უნდა მიმართონ სრს განყოფილებას, ხოლო წერილობითი უარის შემთხვევაში სასამართლოს.

**8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს დააზიანა სამართალდამრღვევმა ორგანიზაციის ქონება. დააკისრებს თუ არა სასამართლო სამართალდამრღვევს მიყენებული ზარალის ანაზღაურებას?**

თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას, ვალდებულია იმავდროულად დააკისროს დამრღვევს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. (საქ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლი.

**9. მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობის დროს მძღოლის მოძრაობისას მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით, იგი გააჩერეს და დააჯარიმეს, მაგრამ არ გადაიხადა ჯარიმა დადგენილ დროში, დაეკისრება თუ არა საურავი და რა რაოდენობით?**

ჯარიმის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმა შეიცვლება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით./საქ.ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $118^2$ მუხლი).

**10. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამოართვეს ინვალიდს, რომელიც ამ საშუალებით სარგებლობს ინვალიდობის გამო. იგი მართავდა სატრანსპორტო საშუალებას ნასვამ მდგომარეობაში. სწორია თუ არა დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა.**

საერთოდ, ჩვეულებრივი საგზაო წესის დარღვევისათვის არ შეიძლება ჩამოერთვას ინვალიდს მართვის უფლება, მაგრამ, რადგან მართავდა ნასვამ მდგომარეობაში, პასუხისმგებლობის ზომა, კერძოდ, მართვის უფლების ჩამორთმევა, სწორად არის გამოყენებული. (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კეოდექსის 30-ე მუხლი).

***მოქალაქეების კითხვებზე პასუხები მოამზადეს იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს იურისტებმა.***

## თქვენი მეგზური

*იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართვის წესები:*

* სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს შეგიძლიათ მიმართოთ პირადად, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

*ვინ შეიძლება ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით?*

* კანონით დადგენილი წესით იძულებით დაცვას დაქვემდებარებულმა ყველა დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა.

* იმ დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა, რომელიც ამავე დროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს: 1) 70 ათასს ან ნაკლებს; 2) 100 ათასს და ნაკლებს, და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლითაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

* განსაკუთრებულ შემთხვევებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს თანხმობა განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე იმ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ გაწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

*უფასო იურიდიული კონსულტაცია:*

იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, როგორც სისხლის სამართლაზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. კონსულტანტები მოქალაქეებს მისვლის დღესვე მიიღებენ.

საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადება.

**იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართებია:**

**თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ
ტელ: 8(32) 623324;

**კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: 8 (250) 71538;

**მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: 8(32) 513873;

**ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(24) 15-77-22

**შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის.: გორი, ხერხეულიძის ქ. №7
ტელ: 8 (270) 7 88 37

**იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს**
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: 8 (292) 40250;

**იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: სადგურის მოედანი №3
ტელ: 8 (231) 5-34-11

**სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: 8 (215) 53472;

**სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: 8 (293) 43332;

**აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის.: ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6
ტელ: 8 (88 222) 31799;

**სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის №17
ტელ: 891 115571

**ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
ტელ: 895 308847

**ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი**
მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.
ტელ: 8(296) 73824

**იურიდიული დახმარების სამსახური**
რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: (+995 32) 988493; 932090
ფაქსი: (+995 32) 988493
info@legalaid.ge; www.legalaid.ge

რეგიონი

# იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიურო – „წლის ბიუროა“

*მესამე გვერდიდან*

ქვემო ქართლის საზოგადოებრივ ადვოკატურაში ამბობენ, რომ ენობრივი ბარიერის არსებობა ადვოკატის დანიშვნის საფუძველი ხშირად ხდება.

ადვოკატებისთვის არაქართულენოვან მოსახლეობასთან მუშაობისას მთავარი პრობლემა ენობრივი ბარიერია. აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელთა დიდმა ნაწილმა რუსულიც არ იცის. ბიუროს თარჯიმნის შტატი არ აქვს, ამიტომ ამ კატეგორიის მოსახლეობასთან მუშაობის დროს ყველაზე დიდი პრობლემა ისეთი ადამიანის მოძიებაა, რომელიც მოქალაქესა და ადვოკატს შორის თარჯიმნის როლს შეასრულებს.

იურიდიული დახმარების სამსახურის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით ქვემო ქართლის ბიუროს წარმომადგენლები პერმანენტულად ხვდებიან რეგიონის მოსახლეობას. ტარდება შეხვედრები საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ისეთ თემებზე, როგორებიცაა „არასრულწლოვანათა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა“ და „ნარკოტიკი - როგორც სოციალური პრობლემა“.

აგვისტოს ომის შემდეგ სამსახურის ბენეფიციართა რიცხვს შიდა ქართლიდან დევნილი მოსახლეობაც შეემატა, რომლებიც კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი კოდაში, შაუმიანსა და რუსთავში. საზოგადოებრივი ადვოკატები მათ უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ. ისინი ამ კატეგორიის საქმეებში სავალდებულო წესით ერთვებიან. ბიურომ კომპაქტურ ჩასახლებებში გასვლითი საინფორმაციო შეხვედრებიც ჩაატარა, რის შემდეგაც დევნილთა მხრიდან მიმართვიანობა საკმაოდ გაიზარდა.

ბიუროში შესული საქმეები მრავალფეროვანია, თუმცა რაოდენობრივად ნარკოტიკული დანაშაულებები სჭარბობს, რაც იმით არის განპირობებული, რომ ქვემო ქართლი საზღვრისპირა რეგიონია.

ბოლო პერიოდში გაიზარდა მიმართვიანობა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით. მოქმედი კანონმდებლობით იურიდიული დახმარების სამსახურს 2011 წლამდე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება არ აქვს, ამიტომ მისი ადვოკატები მხოლოდ კონსულტაციის გაწევით ან სამართლებრივი დოკუმენტების მოწესრიგებით ახერხებენ მოქალაქეების დახმარებას. ამ შეზღუდვის მიუხედავად, ისინი საქმის წარმოების პროცესში აქტიურად ერთვებიან და ამ ტიპის წარმატებული საქმეებიც საკმაოდ აქვთ - შეწყვეტილი საქმეები, მოგებული დავები და ა.შ.

# გიორგი ჭვინაშვილი: „იურიდიული დახმარების სამსახურში მუშაობა გაცილებით საინტერესოა და შესაძლებლობებიც მეტია“



***გიორგი ჭვინაშვილი – სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ხელმძღვანელი.***

***დაიბადა 1975 წელს ქალაქ სიღნაღში, გაიზარდა ქალაქ რუსთავში. 1992 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1997 წლიდან მუშაობს ადვოკატად. იყო ადვოკატთა კოლეგიის ადვოკატი, მუშაობდა კერძო საადვოკატო ბიურო „ვექილში“. ერთი წლის მანძილზე ასრულებდა იურიდიული კონსულტაციის გამგის მოვალეობას. 2007 წელს მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, სადაც გაიმარჯვა და მას შემდეგ ქვემო ქართლის ბიუროს ხელმძღვანელობს.***

**- სად უფრო კომფორტულად გრძნობდით თავს კერძო ადვოკატურაში თუ საჯარო სამსახურში?**

- დღევანდელ საქმიანობაში კერძო პრაქტიკა და ერთწლიანი მენეჯერული გამოცდილების ქონა ძალიან დამეხმარა. მართალია, ბიუროს მენეჯმენტს საკმაოდ დიდი დრო მიაქვს, თუმცა პირადადაც მაქვს საქმეები წარმოებაში. აქ მუშაობა ჩემთვის გაცილებით საინტერესოა და შესაძლებლობებიც მეტია.

**- ადვოკატობა თქვენი მოწოდება იყო თუ სხვა პროფესიაზე ოცნებობდით?**

- 2005 წლიდან ჩავაბარე მოსამართლის, ადვოკატის, პროკურატურის გამოცდები. მოსამართლეობა მინდოდა, ვფიქრობდი, რომ საკუთარი თავის რეალიზებას ყველაზე კარგად იქ მოვახერხებდი, თუმცა ამ სამსახურში მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ამიტომ სხვა პროფესიაზე აღარც კი ვფიქრობ. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ პროფესიული წინსვლა და წარმატებები გქონდეს.

**- ცნობილია, რომ სახაზინო ადვოკატების მიმართ საზოგადოება წლების მანძილზე საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი. თქვენ ამ ინსტიტუტის მემკვიდრეები ხართ. კიდევ არსებობს ნდობის პრობლემა, თუ არა?**

- ეს პრობლემა რომ აღარ არსებობს, ამას მოწმობს ჩვენს მიერ წარმატებით დასრულებული საქმეები, ჩვენი ურთიერთობა მოსახლეობასთან. იურიდიული დახმარების სამსახურის დახმარება უფასოა და, რაც მთავარია, კვალიფიციური. ხშირად კლიენეტებს გაკვირვებაც კი გამოუთქვამთ, რომ ჩვენ ასე მოწესრიგებული და მოწადინებული ვართ როგორც სასამართლო პროცესებზე, ისე კლიენტებთან სამუშაო შეხვედრის დროს.

წარმატებული საქმე

# არასრულწლოვან დედას განაჩენის აღსრულება გადაუვადდა

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს საკმაოდ ბევრი წარმატებული საქმე აქვს. ისტორია, რომლის მოყოლასაც ვაპირებთ, არც ისე ახალია, თუმცა ის თავის დასასრულს ჯერ კიდევ ელოდება.

2008 წლის 15 თებერვალს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებიდან ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში არასრულწლოვან გ.კ.-ს განცხადება შევიდა, სადაც ის ადვოკატის დანიშვნას ითხოვდა. ბიუროს ადვოკატი გიორგი მდინარაძე იმავე დღეს ჩაერთო საქმეში ადვოკატის სტატუსით. ამ დროისთვის წინასწარი გამოძიება უკვე დასრულებული იყო და საქმე საბრალდებო დასკვნით რუსთავის საქალაქო სასამართლოში იყო გადაგზავნილი.

ადვოკატმა საქმის მასალების გაცნობის შემდეგ გაარკვია, რომ 16 წლის გ.კ. 2007 წლის 28 მაისის განაჩენით რუსთავის სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა წლინახევრით, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, ამავე გამოსაცდელი ვადით.

თუმცა 2008 წლის 3 იანვარს არასრულწლოვანი გოგონა კვლავ დააკავეს. ის ქურდობაში იყო ეჭვმიტანილი.

გ.კ.-მ როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიებისას წარდგენილ ბრალდებაში თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ, ამიტომ I ინსტანციაში დაცვის მხარეს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ არ უდავია.

სასამართლოს მიმდინარეობისას ადვოკატისთვის ცნობილი გახდა, რომ არასრულწლოვანი გოგონა ორსულად იყო. მან ამ ფაქტის საფუძველზე სასამართლოს მოსთხოვა, რომ განსასჯელს ბრალად წარდგენილი დანაშაულისთვის დანიშნოდა სასჯელის მინიმუმი, ანუ ერთი მესამედი ჩათვლოდა პირობითად, ხოლო დარჩენილი სასჯელი გადავადებულიყო მანამ, სანამ ბავშვი 5 წლის არ გახდებოდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ადვოკატის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და გ.კ.-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

აღნიშნული განაჩენი ადვოკატმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივრის მთავარი არგუმენტი და მოთხოვნა იყო არასრულწლოვანი გოგონას ორსულობის გამო სასჯელის მოხდისა და განაჩენის აღსრულების გადავადება ბავშვის 5 წლის ასაკამდე.

ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ ქალთა და არასრულწლოვანთა მე-5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების მთავარ ექიმს მიმართა და მსჯავრდებულისთვის სამედიცინო შემოწმების ჩატარება მოითხოვა იმის დასადგენად, იყო თუ არ ის ორსულად. ადვოკატმა დადებითი პასუხი ცნობის სახით მიიღო და ეს ცნობა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა.

ამასობაში გ.კ.-მ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმშობიარა და ჯანმრთელი გოგონა გააჩინა. ადვოკატმა შესაბამისი ცნობა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას წარუდგინა და საქმისთვის მტკიცებულების სახით დართვა ითხოვა.

სასამართლო სხდომაზე ადვოკატის მოთხოვნას პროკურორი არ დაეთანხმა და განაჩენის უცვლელად დატოვება მოითხოვა.

ადვოკატის კვალიფიციურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. 2008 წლის 12 ივნისის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ნაირა გიგიტაშვილის თავმჯდომარეობით, სრულად დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა - არასრულწლოვან დედას განაჩენის აღსრულება ბავშვის 5 წლის ასაკს მიღწევამდე, ანუ 2013 წლის 20 მაისამდე გადაუვადა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

გ.კ. ამჟამად რუსთავში ცხოვრობს და პატარა გოგონას ზრდის. შესაძლებელია 2013 წლისთვის მისი საქმე კვლავ იურიდიული დახმარების სამსახურმა მიიღოს წარმოებაში და კიდევ ერთხელ დაეხმაროს ახალგაზრდა დედას.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP)
The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

იურიდიული დახმარების სამსახური

გამოცემა მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ